საქართველოს პარლამენტი

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-აგვისტოს შესრულების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
სექტემბერი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 16,677.8 მლნ ლარი	93.3% 9 თვის გეგმის	67.9% წლიური გეგმის
გადასახდელები - 16,269.7 მლნ ლარი	88.7% 9 თვის გეგმის	65.0% წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება 408.1 მლნ ლარი	საოპერაციო სალდო 1,526.0 მლნ ლარი	მთლიანი სალდო -896.6 მლნ ლარი

შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები





გადასახადების სტრუქტურა



ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

2024 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება 16,677.8 მლნ ლარს, წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 67.9%-ს და 9 თვის გეგმის[1] (17,880.5 მლნ ლარი) 93.3%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 2,038.7 მლნ ლარით (13.9%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

2024 წლის 8 თვეში **გადასახდელების** შესრულება 16,269.7 მლნ ლარს, წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 65.0%-ს და 9 თვის გეგმის (18,336.1 მლნ ლარი) 88.7%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის 8 თვის მაჩვენებელს 2,454.0 მლნ ლარით (17.8%-ით) აჭარბებს (ხარჯების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).





შემოსულობების კომპონენტების შესრულებას რაც შეეხება, 9 თვის გეგმის მიმართ, კარგი შესრულებით ხასიათდება შემოსავლების (93.0%), ვალდებულებების ზრდისა (94.7%) და არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (89.8%), ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები შესრულების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა და 9 თვის გეგმის 99.3%-ს შეადგენს.

გადასახდელების კომპონენტების შესრულებასთან დაკავშირებით, 9 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს ხარჯებისა (88.5%) და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტებს (93.0%). გადაჭარბებით გამოირჩევა ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (104.1%), ხოლო ვალდებულებების კლების კომპონენტი შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (78.9%).





[1] 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება).

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წლის დასაწყისისათვის 1,577.3 მლნ ლარს გაუტოლდა. 8 თვის შემოსულობებისა და გადასახდელების გათვალისწინებით ნაშთის დაგროვებამ 408.1 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 სექტემბრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,985.4 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდო** 8 თვეში 1,526.0 მლნ ლარს გაუტოლდა, ხოლო **მთლიანმა სალდომ** -896.6 მლნ ლარი შეადგინა.



გადასახადების შესრულებამ იანვარ-აგვისტოში 13,083.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 93.0%-ს და წლიური გეგმის 68.4%-ს შეადგენს. 9 თვის გეგმის მიმართ ყველა სახის გადასახადი შესრულების კარგი დონით ხასიათდება (გარდა მოგების გადასახადისა, რომელიც 0.2%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა) და 83.1%-95.6%-ის ფარგლებში მერყეობს (რაც შეეხება სხვა გადასახადს, 9 თვეში დაიგეგმა -43.0 მლნ ლარი, ფაქტობრივად კი -89.4 მლნ ლარი შეადგინა). 2023 წელთან შედარებით გადასახადები გაზრდილია 2,183.0 მლნ ლარით (20.0%-ით), ძირითადად, დღგ-ის, საშემოსავლო და მოგებისა გადასახადების, შესაბამისად, 10.8%-იანი, 18.1%-იანი და 56.2%-იანი მატების გავლენით.



ხარჯების შესრულებამ 8 თვეში 12,775.1 მლნ ლარი შეადგინა, 9 თვის გეგმის 88.5% და წლიური გეგმის 66.8%. 9 თვის გეგმასთან მიმართებით, შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვს სუბსიდიების (94.1%), სოციალური უზრუნველყოფისა (91.1%) და პროცენტის (90.8%) მუხლებს. კარგი შესრულებით ხასიათდება გრანტების (87.9%), შრომის ანაზღაურებისა (85.6%) და საქონლისა და მომსახურების (84.9%), აგრეთვე, სხვა ხარჯების (83.7%) მუხლები. წინა წელთან შედარებით ხარჯები 2,005.0 მლნ ლარით (18.6%-ით) გაზრდილია, ხარჯების ყველა მუხლის მატების გავლენით (მ.შ.სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გაზრდილია 685.8 მლნ ლარით).



დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 8 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა*	2024 წლის 8 თვის შესრულება	შესრულების % 9 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსულობები	**14,639.1**	**24,569.5**	**17,880.5**	**16,677.8**	**93.3%**	**67.9%**
შემოსავლები	**12,166.5**	**20,731.0**	**15,377.6**	**14,301.2**	**93.0%**	**69.0%**
გადასახადები	10,900.7	19,115.0	14,062.1	13,083.7	93.0%	68.4%
საშემოსავლო გადასახადი	3,727.0	6,345.1	4,758.0	4,401.2	92.5%	69.4%
მოგების გადასახადი	1,395.0	2,690.0	2,174.0	2,178.6	100.2%	81.0%
დღგ	4,421.0	7,388.3	5,384.1	4,896.7	90.9%	66.3%
აქციზი	1,405.0	2,375.0	1,678.0	1,604.2	95.6%	67.5%
იმპორტის გადასახადი	100.4	150.0	111.0	92.3	83.1%	61.5%
სხვა გადასახადები	-147.7	166.6	-43.0	-89.4	207.8%	-53.6%
გრანტები	198.3	266.0	177.1	194.5	109.8%	73.1%
სხვა შემოსავლები	1,067.6	1,350.0	1,138.4	1,023.0	89.9%	75.8%
არაფინანსური აქტივების კლება	**72.4**	**200.0**	**111.0**	**99.7**	**89.8%**	**49.8%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**211.2**	**300.0**	**270.0**	**268.0**	**99.3%**	**89.3%**
ვალდებულებების ზრდა	**2,189.0**	**3,338.5**	**2,121.9**	**2,009.0**	**94.7%**	**60.2%**
საგარეო	1,176.2	1,838.5	1,064.9	1,186.1	111.4%	64.5%
საშინაო	1,012.8	1,500.0	1,057.0	822.9	77.9%	54.9%
გადასახდელები	**13,815.7**	**25,030.4**	**18,336.1**	**16,269.7**	**88.7%**	**65.0%**
ხარჯები	**10,770.1**	**19,120.9**	**14,441.7**	**12,775.1**	**88.5%**	**66.8%**
შრომის ანაზღაურება	1,382.8	2,577.3	1,915.6	1,639.6	85.6%	63.6%
საქონელი და მომსახურება	1,324.7	2,232.0	1,708.1	1,449.5	84.9%	64.9%
პროცენტი	846.6	1,540.0	1,238.6	1,124.9	90.8%	73.0%
სუბსიდიები	570.3	1,044.9	740.0	696.1	94.1%	66.6%
გრანტები	770.4	1,513.0	1,156.0	1,016.5	87.9%	67.2%
სოციალური უზრუნველყოფა	4,444.9	7,470.4	5,629.6	5,130.7	91.1%	68.7%
სხვა ხარჯები	1,430.4	2,743.2	2,053.8	1,718.0	83.7%	62.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**2,181.6**	**4,180.6**	**2,713.4**	**2,522.3**	**93.0%**	**60.3%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**161.7**	**305.6**	**158.6**	**165.1**	**104.1%**	**54.0%**
ვალდებულებების კლება	**702.3**	**1,423.4**	**1,022.4**	**807.1**	**78.9%**	**56.7%**
საგარეო	677.7	1,380.6	987.6	782.4	79.2%	56.7%
საშინაო	24.6	42.7	34.7	24.7	71.1%	57.8%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	**823.4**	**-460.9**	**-455.6**	**408.1**		

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 8 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 9 თვის გეგმა	2024 წლის 8 თვის შესრულება	შესრულების % 9 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
შემოსავლები	**12,166.5**	**20,731.0**	**15,377.6**	**14,301.2**	**93.0%**	**69.0%**
გადასახადები	10,900.7	19,115.0	14,062.1	13,083.7	93.0%	68.4%
გრანტები	198.3	266.0	177.1	194.5	109.8%	73.1%
სხვა შემოსავლები	1,067.6	1,350.0	1,138.4	1,023.0	89.9%	75.8%
ხარჯები	**10,770.1**	**19,120.9**	**14,441.7**	**12,775.1**	**88.5%**	**66.8%**
შრომის ანაზღაურება	1,382.8	2,577.3	1,915.6	1,639.6	85.6%	63.6%
საქონელი და მომსახურება	1,324.7	2,232.0	1,708.1	1,449.5	84.9%	64.9%
პროცენტი	846.6	1,540.0	1,238.6	1,124.9	90.8%	73.0%
სუბსიდიები	570.3	1,044.9	740.0	696.1	94.1%	66.6%
გრანტები	770.4	1,513.0	1,156.0	1,016.5	87.9%	67.2%
სოციალური უზრუნველყოფა	4,444.9	7,470.4	5,629.6	5,130.7	91.1%	68.7%
სხვა ხარჯები	1,430.4	2,743.2	2,053.8	1,718.0	83.7%	62.6%
საოპერაციო სალდო	**1,396.4**	**1,610.1**	**935.9**	**1,526.0**	**163.1%**	**94.8%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**2,109.2**	**3,980.6**	**2,602.4**	**2,422.6**	**93.1%**	**60.9%**
ზრდა	2,181.6	4,180.6	2,713.4	2,522.3	93.0%	60.3%
კლება	72.4	200.0	111.0	99.7	89.8%	49.8%
მთლიანი სალდო	**-712.8**	**-2,370.5**	**-1,666.5**	**-896.6**	**53.8%**	**37.8%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**773.9**	**-455.4**	**-567.0**	**305.2**	**-53.8%**	**-67.0%**
ზრდა	**985.0**	**305.6**	**158.6**	**573.2**	**361.4%**	**187.6%**
ვალუტა და დეპოზიტები	823.4	0.0	0.0	408.1		
სესხები	160.5	305.6	158.6	164.0	103.4%	53.7%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.1	0.0	0.0	1.2		
კლება	**211.2**	**760.9**	**725.6**	**268.0**	**36.9%**	**35.2%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	460.9	455.6	0.0	0.0%	0.0%
სესხები	209.7	300.0	270.0	268.0	99.3%	89.3%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.5	0.0	0.0	0.0		
ვალდებულებების ცვლილება	**1,486.7**	**1,915.1**	**1,099.5**	**1,201.9**	**109.3%**	**62.8%**
ზრდა	**2,189.0**	**3,338.5**	**2,121.9**	**2,009.0**	**94.7%**	**60.2%**
საშინაო	1,012.8	1,500.0	1,057.0	822.9	77.9%	54.9%
საგარეო	1,176.2	1,838.5	1,064.9	1,186.1	111.4%	64.5%
კლება	**702.3**	**1,423.4**	**1,022.4**	**807.1**	**78.9%**	**56.7%**
საშინაო	24.6	42.7	34.7	24.7	71.1%	57.8%
საგარეო	677.7	1,380.6	987.6	782.4	79.2%	56.7%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		

საქართველოს პარლამენტი